

**ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი**  
**მაგისტრატურა (საბანკო პროცესების მართვა)**  
**სამაგისტრო გამოცდის ტესტები**  
**საგანი - „საბანკო საქმე“**

**1. განცხადებული საწესდებო კაპიტალი არის :**

- ა) კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;
- ბ) საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი;
- გ) საზოგადოების აქციონერთა მიერ დათქმული და წესდებით გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი;
- დ) კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ჯამი ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის;

**2. საზედამხებდველო კაპიტალი არის:**

- ა) საწესდებო კაპიტალის ფაქტობრივად შეუვსებელი ნაწილი;
- ბ) კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისათვის და სხვადასხვა სახის რისკისაგან დასაცავად;
- გ) კომერციული ბანკის განცხადებული თუ განადგობილი საწესდებო კაპიტალის წილის 10 პროცენტზე მეტი, რომელსაც პირიფლობს საწესდებო კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობით;
- დ) კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ჯამი ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის.

**3. კომერციული ბანკების საქმიანობის მეოთხე პრინციპი**

- ა) არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობის შესაძლებლობას წარმოადგენს;
- ბ) ბანკის კლიენტებთან საბაზრო ურთიერთობას ითვალისწინებს;
- გ) საქმიანობის რეგულირების იურიდიული თავისუფლებით არის განპირობებული;
- დ) არცერთს.

**4. კომერციული ბანკების საქმიანობის პირველი ფუძემდებლური პრინციპი**

- ა) არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობის შესაძლებლობას წარმოადგენს;
- ბ) ბანკის კლიენტებთან საბაზრო ურთიერთობას ითვალისწინებს;
- გ) საქმიანობის რეგულირების იურიდიული თავისუფლებით არის განპირობებული;
- დ) არცერთი.

**5. კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი არის:**

- ა) ლიკვიდურობის რეზერვი გამრავლებული ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეზე;
- ბ) ლიკვიდურობის რეზერვს გამოკლებული ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდე;
- გ) ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეს დამატებული ლიკვიდურობის რეზერვი;
- დ) ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდეს გამოკლებული ლიკვიდურობის რეზერვი.

**6. საკუთარი სახსრების შემადგენლობაში არ შედის:**

- ა) საკრედიტო რისკებისა და ფასიანი ქაღალდების გაუფასურების გადასაფარი რეზერვები;
- ბ) საწესდებო, სარეზერვო, სპეციალური, ეკონომიკური სტიმულირების ფონდები;
- გ) მიმდინარე წლის მოგება და გასული წლის გაუნაწილებელი მოგება;
- დ) სუბორდინირებული ვალდებულებები.

**7. გაფორმების წესის მიხედვით განასხვავებენ:**

- ა) მხოლოდ შემნახველ სერტიფიკატებს;
- ბ) მხოლოდ სადეპოზიტო სერტიფიკატებს;
- გ) სახელობით სერტიფიკატებს ან სერტიფიკატებს წარმომდგენზე;
- დ) ერთჯერადი წესით ან სერიების სახით გამოშვებულ სერტიფიკატებს.

**8. სესხები თამასუქების გირაოს ქვეშ გულისხმობს იმას, რომ :**

- ა) სესხის გაცემისას თამასუქებზე საკუთრების უფლება ბანკზე არ გადაითმობა, ის თამასუქის მფლობელის მიერ განუსაზღვრელი ვადით ჩაიდება გირაოში, შემდგომში სესხის დაფარვის შემდეგ მისი უკუგამოსყიდვის უფლებით;
- ბ) სესხის გაცემისას თამასუქებზე საკუთრების უფლება ბანკზე არ გადაითმობა, ის თამასუქის მფლობელის მიერ მხოლოდ განსაზღვრული ვადით ჩაიდება გირაოში, შემდგომში სესხის დაფარვის შემდეგ მისი უკუგამოსყიდვის უფლებით;
- გ) ხდება მათი ბანკის მიერ შეძენა, რომლის შედეგად ისინი და მასთან ერთად თამასუქების მფლობელისაგან გადახდის მოთხოვნის უფლებაც მთლიანად მის განკარგულებაში გადადის;
- დ) ისინი კლიენტის მხოლოდ საგადამხდელო ბრუნვაში წარმოქმნილი დროებითი გარღვევის შემთხვევაში გაიცემა, როდესაც მისი მიმდინარე ფინანსური მოთხოვნები საკუთარ რესურსებს აჭარბებენ.

**9. დეპოზიტური, ფულადი და საკრედიტო მუტიპლიკატორების გაანგარიშებისას (c) ინიციალით აღინიშნება:**

- ა) დეპოზიტები;
- ბ) ბანკებში ჭარბი რესურსების არსებობა;
- გ) არალიკვიდური სახსრები;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**10. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დამტკიცებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივი 1996 წლის 1 სექტემბრიდან იყო:**

- ა) 10 %;
- ბ) 12 %;
- გ) 15 %;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**11. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება არა უმეტეს :**

- ა) 15 წევრისაგან
- ბ) 17 წევრისაგან
- გ) 19 წევრისაგან
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი

**12. საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატების ვადიანობა არის:**

- ა) 3 და 9 თვე
- ბ) 6 და 12 თვე
- გ) 3 და 6 თვე
- დ) 3, 6 და 12 თვე

**13. რვალი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული არის**

- ა) ოქროსადავერცხლისშენარევილითონი;
- ბ) სპილენძისდათუთისშენარევილითონი;
- გ) სპილენძისდაოქროსშენარევილითონი;
- დ) არცერთი

**14. საქართველოში საბანკო-საკრედიტო სისტემის წარმოშობის პერიოდი :**

- ა) XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გრძელდება;
- ბ) XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გრძელდება;

- გ) XVIII საუკუნის 50-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გრძელდება;
- დ) XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და დღემდე გრძელდება.

**15. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სისტემური საბანკო კრიზისის ძირითადი მიზეზი**

- ა) პროფიციტი;
- ბ) საგარეო და შიდა ვალის ზრდა;
- გ) ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო;
- დ) საერთაშორისო ფინანსური კრიზისი.

**16. საგადახდო ბრუნვაში წვეტადობა წარმოადგენს ბანკების ურთიერთდაკრედიტების ობიექტს, გარდა...**

- ა) სპეციალიზებული კომერციული ბანკების კრედიტებისა;
- ბ) საინვესტიციო ფონდების კრედიტებისა;
- გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტებისა;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**17. რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?**

- ა) ქ. პიზაში 1407 წელს;
- ბ) ქ. რომში 1408 წელს;
- გ) ქ. გენუაში 1407 წელს;
- დ) არცერთი.

**18. საბანკო სისტემის განვითარების მონოპოლისტური კაპიტალიზმის წარმოშობისა და ფუნქციონირების მეორე ეტაპი:**

- ა) XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გრძელდება
- ბ) XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლო პერიოდიდან იწყება და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედამდე გრძელდება;
- გ) XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან იწყება და XX საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით გრძელდება;
- დ) XIX საუკუნის 70-80-იანი წლებიდან იწყება და XX საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით გრძელდება;

**19. პირველი ანექსიის შემდეგ რომელი წლიდან უქმდება საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები?**

- ა) 1815 წლიდან;
- ბ) 1802 წლიდან;
- გ) 1812 წლიდან;
- დ) არცერთი.

**20. რომელ საუკუნეებში არსებობდა საზარაფო დაწესებულებები, რომლებიც ჭრიდნენ ფულს არამართო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც?**

- ა) XV-XVI სს.;
- ბ) XVI-XVII სს.;
- გ) XVII-XVIII სს.;
- დ) XIV-XV სს.

**21. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) გატარების პირველი პერიოდი მოიცავს**

- ა) 1929-1932 წლებს;
- ბ) 1921-1923 წლებს;
- გ) 1932-1935 წლებს;
- დ) 1926-1930 წლებს.

**22. უფლებამოსილების დელეგირება დაშვებულია მაშინ:**

- ა) თუ ასეთი პირობა გათვალისწინებულია ტრასტ-შეთანხმებაში, სადაც შეიძლება დაფიქსირებული იყოს ჩეკების ხელმოწერის უფლების მიცემა ნებისმიერი ორი ნდობით აღჭურვილი პირისათვის;
- ბ) თუ ასეთი პირობა გათვალისწინებულია ტრასტ-შეთანხმებაში, სადაც შეიძლება დაფიქსირებული იყოს ჩეკების ხელმოწერის უფლების მიცემა მხოლოდ ერთი ნდობით აღჭურვილი პირისათვის;
- გ) თუ ასეთი პირობა გათვალისწინებულია ტრასტ-შეთანხმებაში, სადაც შეიძლება დაფიქსირებული იყოს ჩეკების ხელმოწერის უფლების მიცემა ნებისმიერი სამი ნდობით აღჭურვილი პირისათვის;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**23. რომელია მართებული მოსაზრება?:**

- ა) ბანკის კლიენტი ტრასტ-ანგარიშის გახსნისას არ არის ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც მოქმედებს კონკრეტული ხელშეკრულების პირობების თანახმად;
- ბ) საზღვარგარეთის პრაქტიკაში ორი ან მეტი ნდობით აღჭურვილი პირის არსებობისას ბანკი არ მოითხოვს მათგან წერილობით დოკუმენტს;

გ) ნდობით აღჭურვილ პირებს ეკრძალებათ კლიენტის ქონებიდან შემოსავლების გამოყენება პირადი მიზნებისათვის და ფულის გადაყვანა ტრასტ-ანგარიშიდან ნდობით აღჭურვილი პირის პირად ანგარიშზე;

დ) ნდობით აღჭურვილი პირის გაკოტრება ჩვეულებრივ ათავისუფლებს მას თავისი მოვალეობების შესრულებისაგან ნდობით აღჭურვილი პირის სახით.

**24. ჩამოთვლილთაგან რომელი ფუნქციის განხორციელებას არ ანდობს ბანკს ტრასტ-ოპერაციების კონტრაქტი ორგანიზაციასთან:**

ა) ქონების განთავისუფლება გირაოსაგან;

ბ) კორპორაციათა ფონდების რწმუნებით მართვა;

გ) ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებათა გადაუცემლობა;

დ) მფლობელების, ემიტენტების და სხვა ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების ანგარიშების წარმართვა.

**25. რომელია მართებული მოსაზრება? – ფაქტორინგი...**

ა) ქონების განთავისუფლება გირაოსაგან;

ბ) კორპორაციათა ფონდების რწმუნებით მართვა;

გ) დებიტორული დავალიანების თავისდროული ინკასირების ან მათგან მთლიანად განთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა.

დ) კრედიტორული დავალიანების თავისდროული ინკასირების ან მათგან მთლიანად განთავისუფლების შესაძლებლობას იძლევა.

**26. დაკრედიტების მეთოდების ქვეშ ხერხების ერთობლიობა გაითვალისწინება, რომელთა მეშვეობით კრედიტის გაცემა და დაფარვა ხორციელდება. ჩამოთვლილთაგან რომელია ეს მეთოდები?:**

ა) ლომბარდული კრედიტი, ოვერდრაფტი და სათამასუქო კრედიტი;

ბ) დაკრედიტება ნაშთის ფარგლებში, დაკრედიტება ბრუნვის მიხედვით და საკრედიტო ხაზი;

გ) სესხები თამასუქების გირაოს ქვეშ, საბლანკო კრედიტი და დაკრედიტება ნაშთის ფარგლებში;

დ) დაკრედიტება ნაშთის ფარგლებში, დაკრედიტება ბრუნვის მიხედვით და ოვერდრაფტი.

**27. კროს-კურსი წარმოადგენს :**

ა) ნაციონალური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას უცხოური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან;

ბ) უცხოური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას ნაციონალური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან;

გ) ორ უცხოურ ვალუტას შორის შეფარდებას, მიღებულს მათი მესამე ვალუტის მიმართ შეფარდებით;

დ) ორ უცხოურ ვალუტას შორის შეფარდებას, მიღებულს მათი გამრავლებით მესამე ვალუტასთან.

**28. არ ექვემდებარება საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვას:**

ა) სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჭერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა კონტრაქტის ვადა არ აღემატება 10 კალენდარულ დღეს.

ბ) სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჭერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა კონტრაქტის ვადა არ აღემატება 14 კალენდარულ დღეს.

გ) სავალუტო კურსთან დაკავშირებული ფიუჭერსები, ფორვარდები, სვოპები, ოფციონები და სხვა ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა კონტრაქტის ვადა არ აღემატება 7 კალენდარულ დღეს.

დ) არცერთი ზემოთქმული.

**29. 50%-იან საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული III კატეგორიის აქტივია:**

ა) კორპორაციული სავალო ფასიანი ქაღალდები;

ბ) საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ზოდი;

გ) მოკლევადიანი მოთხოვნები და/ან მათი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ და უპირობოდ გარანტირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ;

დ) ინვესტიციები იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში.

**30. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა**

ა) ბანკებს შორის ვერტიკალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება;

ბ) ბანკის მხოლოდ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობას ითვალისწინებს;

გ) ბანკებს შორის ჰორიზონტალურ კავშირებს, მათი ოპერაციებისა და ფუნქციების უნივერსალიზაციას ეფუძნება;

დ) ბანკის მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებთან მცირე მასშტაბის გარიგებებს ითვალისწინებს;

**31. რეგულაციამდელ პერიოდში საკრედიტო-საბანკო სისტემის მოდერნიზაციის პერიოდი, რომელიც ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანასთან არის დაკავშირებული, რომელ საუკუნეებს მოიცავს ?**

ა) მე-17 და მე-18 საუკუნეებს;

ბ) მე-18 და მე-19 საუკუნეებს;

გ) მე-16 და მე-17 საუკუნეებს;

დ) არცერთ ზემოთქმულს.

**32. საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) სადეპოზიტო სერთიფიკატები არის:**

- ა) კომერციული ბანკებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის სავალუტო რისკის ჰეჯირების საშუალება;
- ბ) გრძელვადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდები;
- გ) მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდები;
- დ) კომერციულ ბანკებს შორის გარანტირებული სესხება/გასესხების საშუალება.

**33. როდის გახდა ესპანეთის ბანკი ემისიური ცენტრი?**

- ა) 1874 წელს;
- ბ) 1815 წელს;
- გ) 1848 წელს;
- დ) 1958 წელს.

**34. 2006 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო**

- ა) 5,8 მლნ ლარი;
- ბ) 9,2 მლნ ლარი;
- გ) 6,4 მლნ ლარი;
- დ) 12 მლნ ლარი.

**35. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დამტკიცებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივი 1996 წლის 1 სექტემბრამდე იყო:**

- ა) 16%;
- ბ) 10%;
- გ) 15%;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**36. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის თავისებურებებში?:**

- ა) ბაზარი მობილურია და ის თითოეული გარიგების კონტრაგენტების მიერ გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღებას ითვალისწინებს;
- ბ) ბანკის სტაბილურობა ანუ მოთხოვნა მიწოდებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები, საპროცენტო განაკვეთების ერთი დღიდან მეორემდე უცვლელია;
- გ) ბანკთაშორისი კრედიტების ბაზარი ფინანსური აქტივების სხვა ბაზრებთან არის დაკავშირებული;
- დ) ბაზარი მაღალი ლიკვიდურობით გამოირჩევა.



**37. ღია სავალუტო პოზიცია არის მოკლე :**

- ა) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- ბ) როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- გ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- დ) როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები მეტია მის ვალდებულებებზე;

**38. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული მოსაზრება?:**

- ა) საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს ლარის ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებზე მოთხოვნის შემცირებას და ამყარებს ეროვნულ ვალუტას;
- ბ) საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გავლენას არ ახდენს ფასების დონეზე ვალუტის კურსის ცვლილების გზით;
- გ) მცურავი გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავედროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწვრ ფუნქციასაც და, შესაბამისად, სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში;
- დ) გაცვლითი კურსის გაუფასურება ამცირებს იმპორტირებული საქონლის ფასს და პირიქით კურსის გამყარება იწვევს ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდას.

**39. ირიბი კოტირების დროს ადგენენ:**

- ა) უცხოური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას ნაციონალური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან;
- ბ) საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს ფასების დონეზე;
- გ) ვალუტით ფორმირებულ ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას;
- დ) ნაციონალური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას უცხოური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან.

**40. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპ-ის) გატარების მესამე პერიოდი მოიცავს**

- ა) 1929-1932 წლებს;
- ბ) 1921-1923 წლებს;
- გ) 1932-1935 წლებს;
- დ) 1926-1930 წლებს.

**41. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქცია**

- ა) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა;
- ბ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;

- გ) ხელი შეუწყოს საგადახდო სისტემის უსაფრთხო, მდგრად და ეფექტიან ფუნქციონირებას;
- დ) განახორციელოს უსაფრთხო, მდგრადი და ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკა.

**42. კანადის ცენტრალური ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა თანამდებობაზე ინიშნება**

- ა) 8 წლის ვადით;
- ბ) 9 წლის ვადით;
- გ) 5 წლის ვადით;
- დ) 7 წლის ვადით.

**43. კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს:**

- ა) ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება
- ბ) მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის ნაწილობრივ დელეგირების უფლება
- გ) აქციონერთა საერთო კრების თანხმობის გარეშე არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება.
- დ) არავის თანხმობით არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება

**44. 2005 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა ყოფილიყო**

- ა) 4,6 მლნ ლარი;
- ბ) 9,2 მლნ ლარი;
- გ) 5,5 მლნ ლარი;
- დ) 7,8 მლნ ლარი.

**45. შემნახველი სერტიფიკატები გაიცემა:**

- ა) მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე;
- ბ) მხოლოდ იურიდიულ პირებზე;
- გ) მხოლოდ ფიზიკურ პირებზე;
- დ) იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

**46. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დამტკიცებული სავალდებულო რეზერვების ნორმატივი 1996 წლის 1 სექტემბრიდან იყო:**

- ა) 16 %;
- ბ) 10 %;
- გ) 15 %;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**47. რომელია მართებული მოსაზრება?**

- ა) მცურავი გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით გრძელვადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწვავ ფუნქციასაც და, შესაბამისად, სტაბილურია მოკლევადიან პერიოდში;
- ბ) მცურავი გაცვლითი კურსი არ ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწვავ ფუნქციასაც და, შესაბამისად, არასტაბილურია გრძელვადიან პერიოდშიც;
- გ) მცურავი გაცვლითი კურსი ხასიათდება მერყეობით მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ იმავდროულად, მოქნილობის გამო იგი თამაშობს შოკების შემწვავ ფუნქციასაც და, შესაბამისად, სტაბილურია გრძელვადიან პერიოდში;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**48. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ლიზინგური ოპერაციების ნაკლოვანებებში?:**

- ა) თუ ეს ფინანსური ლიზინგია, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ნაწარმს მოძველებულს ხდის, ამის მიუხედავად საიჯარო გადასახადები კონტრაქტის ბოლომდე არ შეჩერდება;
- ბ) ლიზინგური გადასახადების პროდუქციის თვითღირებულებაში ჩართვა;
- გ) ორგანიზაციის სირთულე;
- დ) ლიზინგის მოცულობა სესხის მოცულობას აჭარბებს, მოძველებული მოწყობილობის რისკი იჯარის გამცემს აწვება და ამიტომ იგი კომპენსაციისათვის დიდ საკომისიოს იღებს.

**49. რომელია მართებული მოსაზრება?:**

- ა) ფული, რომელიც კრედიტში რამდენიმე დღით გაიცემა შეიძლება ახალ საბანკო მომსახურებად ჩაითვალოს;
- ბ) ფული, რომელიც კრედიტში ერთი და მეტი დღით გაიცემა არ შეიძლება ახალ საბანკო მომსახურებად ჩაითვალოს;
- გ) ფული, რომელიც კრედიტში ერთი და მეტი დღით გაიცემა შეიძლება ახალ საბანკო მომსახურებად ჩაითვალოს;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**50 ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სისტემური საბანკო კრიზისის ძირითადი მიზეზი**

- ა) კაპიტალის ბაზრის განვითარება;
- ბ) საგარეო და შიდა ვალის ზრდა;
- გ) ქვეყნის სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო;
- დ) საერთაშორისო ფინანსური კრიზისი.

**51. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა ბანკებს შორის რომელ სიბრტყეში აგებულიაზე არის დაფუძნებული?**

- ა) ბანკებს შორის ჰორიზონტალურ და დაცვით ურთიერთობებს ეფუძნება;
- ბ) ბანკებს შორის ვერტიკალურ და პროპორციულ ურთიერთობებს ეფუძნება;
- გ) ბანკებს შორის ჰორიზონტალურ ურთიერთობებს ეფუძნება;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**52. როდის გახდა საფრანგეთის ბანკი ემისიური ცენტრი?**

- ა) 1874 წელს;
- ბ) 1815 წელს;
- გ) 1848 წელს;
- დ) 1958 წელს.

**53. ავსტრიის ცენტრალური ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობა თანამდებობაზე ინიშნება**

- ა) 8 წლის ვადით;
- ბ) 7 წლის ვადით;
- გ) 9 წლის ვადით;
- დ) 5 წლის ვადით.

**54. ერდლიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს:**

- ა) მონეტ. პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.5%;
- ბ) მონეტ. პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 1.5%;
- გ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გამრავლებული 1.5%-ზე.
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**55. კომერციული ბანკის დირექტორატის წევრს:**

- ა) ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ დელეგირების უფლება
- ბ) მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის ნაწილობრივ დელეგირების უფლება
- გ) ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში აქვს თავისი უფლებამოსილების სხვებისთვის მთლიანად დელეგირების უფლება
- დ) არ შეუძლიათ სხვებისათვის თავიანთი უფლებების დელეგირება

**56. უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებულ საბანკო ოპერაციებს არ მიეკუთვნება:**

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება;
- ბ) ქვეყნის შიგნით სავალუტო სახსრების მოზიდვა-განთავსება;
- გ) კლიენტურის სავალუტო ანგარიშების მომსახურება;

დ) საქართველოს რწმუნებულებთან და უცხოეთის ბანკებთან საკორესპონდენტო ურთიერთობების გამყარება.

**57. 20%-იან კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული III კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია:**

ა) აქტივის გაყიდვის ვალდებულებები უკან გამოსყიდვის ვალდებულებით, როდესაც საკრედიტო რისკს იღებს ბანკი და ამ ვალდებულების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს;

ბ) ტვირთებით უზრუნველყოფილი დოკუმენტური აკრედიტივები;

გ) ყველა 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა აღემატება ორ წელს;

დ) აქტივების შესყიდვის ვალდებულებები, თუ ამ ვალდებულებების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს.

**58. საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გაიანგარიშება როგორც :**

ა) საბალანსო უწყისის თითოეული კატეგორია გამრავლებული ამ კატეგორიის აქტივების შესაბამის ბალანსგარეშე ვალდებულებებზე.

ბ) სავალუტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების მთლიანი თანხა, გაყოფილი სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

გ) სავალუტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების მთლიანი თანხა, დამატებული სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

დ) სავალუტო რისკს დაქვემდებარებული აქტივების მთლიანი თანხა, გამრავლებული სავალუტო რისკის კოეფიციენტზე.

**59. ჩამოთვლილთაგან რომელი არ უნდა იყოს აქციის გამოშვების შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული?:**

ა) გამოსაშვები აქციების ტიპი;

ბ) აქციების რაოდენობა და საერთო თანხა მთლიანობაში და ტიპების მიხედვით;

გ) გამოშვების შედეგების პუბლიკაცია;

დ) გამოშვების მოცულობა.

**60. კომერციული ბანკის დირექტორატი შედგება:**

ა) 5 დირექტორისაგან მაინც;

ბ) 3 დირექტორისაგან მაინც;

გ) 7 დირექტორისაგან მაინც;

დ) 4 დირექტორისაგან მაინც.

**61. ფულადი გადარიცხვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისას ბანკი ვალდებულია კლიენტს გადაუხადოს დაგვიანებული თანხის**

- ა) არა ნაკლებ 0,2 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე;
- ბ) არა ნაკლებ 0,6 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე;
- გ) არა ნაკლებ 0,3 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე;
- დ) არა ნაკლებ 0,5 პროცენტისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე.

**62. დასაცავი მინიმალური რეზერვების გაანგარიშება ხდება :**

- ა) საშუალო მოზიდული სახსრების დამატებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.
- ბ) საშუალო მოზიდული სახსრების გამოკლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.
- გ) საშუალო მოზიდული სახსრების გაყოფით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.
- დ) საშუალო მოზიდული სახსრების გამრავლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.

**63. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული მოსაზრება?:**

- ა) ვალუტის კურსის გამყარება უფრო მეტად გაზრდის ფასებს, ვიდრე კურსის დაცემა შეამცირებს მათ;
- ბ) გაცვლითი კურსის გამყარება ზრდის იმპორტზე მოთხოვნას და, შესაბამისად, ზრდის ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნას;
- გ) ვალუტის კურსის გაუფასურება უფრო მეტად გაზრდის ფასებს, ვიდრე კურსის გამყარება შეამცირებს მათ;
- დ) კურსის გამყარება და გაუფასურება თანაბრად (სიმეტრიულად) აისახება ფასების დონის ცვლილებაზე.

**64. რეგრესის არსებობა ნიშნავს, რომ:**

- ა) დებიტორისაგან გადასახადის მიუღებლობის შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ფაქტორი ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას მიმწოდებელს წარუდგენს;
- ბ) კრედიტორისაგან გადასახადის მიუღებლობის შემთხვევაში, ფაქტორი დაუყოვნებლივ ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას მიმწოდებელს წარუდგენს;
- გ) დებიტორისაგან გადასახადის მიუღებლობის შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ფაქტორი ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას მიმწოდებელს წარუდგენს;
- დ) კრედიტორისაგან გადასახადის მიუღებლობის შემთხვევაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ფაქტორი ვალის გადახდასთან დაკავშირებით მოთხოვნას მიმწოდებელს წარუდგენს.

**65. ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის :**

- ა) 12%;
- ბ) 15%;
- გ) 10%;
- დ) 5 %.

**66. ლიზინგურ გადასახადებში არ ჩაირთვება:**

- ა) ლიზინგის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ლიზინგის მიმღების დამატებით მომსახურებაზე გადასახადი;
- ბ) ლიზინგის გამცემის დანახარჯების კომპენსაცია მის მიერ ნასესხები სახსრების გამოყენებაზე;
- გ) გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე;
- დ) ლიზინგური ქონების ამორტიზაცია ლიზინგის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

**67. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის ლიზინგის უპირატესობებში:**

- ა) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ლიზინგზე კონტრაქტის მიღება უფრო მარტივია, ვიდრე სესხის მიღება;
- ბ) ლიზინგი ასპროცენტთან დაკრედიტებას ითვალისწინებს, რომელიც გადახდის იმავდროულ დაწყებას არ მოითხოვს;
- გ) საგადასახადო განაკვეთების ფიქსირებული განაკვეთი ლიზინგის მიმღებს იცავს ინფლაციისაგან;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**68. მარწმუნებელს ანდერძის მიხედვით შეუძლია დაავალოს ბანკის ტრასტ-განყოფილებას:**

- ა) სხვა ბანკებში საბანკო ანგარიშების არსებობის დადგენა;
- ბ) ბენეფიციართა შორის შემოსავლის განაწილება;
- გ) მეანდერძის ოჯახის წევრებისათვის მომსახურების გაწევა;
- დ) ყველა ზემოჩამოთვლილი.

**69. კომერციული ბანკი უფლებამოსილია ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალის წილის:**

- ა) არა უმეტეს 15 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 20 პროცენტს;
- ბ) არა უმეტეს 10 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;

- გ) არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს;
- დ) არა უმეტეს 20 პროცენტისა, თუ ბანკის წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 10 პროცენტს.

**70. დასაცავი პერიოდი არის :**

- ა) ორკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეჩვიდმეტე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს.
- ბ) ერთთვიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეოცე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;
- გ) სამკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან ოცდამეორე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;
- დ) ერთკვირიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მეთვრამეტე დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს;

**71. ფაქტორინგული ფირმა თავისი კლიენტებისაგან იძენს მათდამი მოთხოვნებს და...:**

- ა) 3–4 დღის განმავლობაში ავანსის სახით იხდის მოთხოვნილების 60%–დან 80%–მდე.
- ბ) 1–2 დღის განმავლობაში ავანსის სახით იხდის მოთხოვნილების 50%–დან 70%–მდე.
- გ) 2–3 დღის განმავლობაში ავანსის სახით იხდის მოთხოვნილების 70%–დან 90%–მდე.
- დ) 4–5 დღის განმავლობაში ავანსის სახით იხდის მოთხოვნილების 55%–დან 85%–მდე.

**72. ბანკის მძიმე ფინანსური მდგომარეობის, გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული ვალის კრედიტორის მოთხოვნები ბანკმა უნდადააკმაყოფილოს :**

- ა) მხოლოდ ყველა დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ვალების ნახევრის მაინც გადახდის (დაფარვის) შემდეგ.
- ბ) დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა მნიშვნელოვანი ნაწილის ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ.
- გ) მხოლოდ ყველა დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ვალების სრულად გადახდის (დაფარვის) შემდეგ.
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**73. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შედის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარულ ინსტრუმენტებში:**



- ა) სამომხმარებლო სესხები;
- ბ) სადეპოზიტო სერთიფიკატები;
- გ) ერთდღიანი დეპოზიტები;
- დ) მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

**74. პირდაპირი კოტირების დროს ადგენენ:**

- ა) უცხოური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას ნაციონალური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან;
- ბ) საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს ფასების დონეზე;
- გ) ვალუტით ფორმირებულ ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობას;
- დ) ნაციონალური ვალუტის ერთეულის თანაფარდობას უცხოური ვალუტის გარკვეულ რაოდენობასთან.

**75. ოპერაციების განხორციელების ვადების შეთანხმება და გადახდის არათავისდროულად გადახდაზე კონტრაგენტების თანაბარ პასუხისმგებლობას წარმოადგენს:**

- ა) ფულადი რესურსების სხვა ბაზრების მოკლევადიან ფინანსურ აქტივებზე გაცვლა;
- ბ) მოგების მიღება არატრადიციული ბანკთაშორისი ოპერაციების ჩატარების ხარჯზე;
- გ) რესურსების მოზიდვა ბანკის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პროექტების რეალიზაციისათვის;
- დ) ბანკის დადებითი იმიჯის შექმნა და მხარდაჭერა.

**76. სერტიფიკატების გამოშვება ხდება:**

- ა) მხოლოდ სერიების სახით;
- ბ) განსაზღვრული პროცენტით და კონკრეტული ვადით;
- გ) განსაზღვრული პროცენტით და უვადოდ;
- დ) უპროცენტო და კონკრეტული ვადით.

**77. პროცენტის ავანსად გადახდას ითვალისწინებს:**

- ა) მარტივი პროცენტების მეთოდი;
- ბ) წლიური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი;
- გ) დისკონტური განაკვეთის მეთოდი;
- დ) რთული საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.

**78. სავალუტო ბაზრის ძირითადი მონაწილეები არ არიან:**

- ა) სადაზღვევო კომპანიები;
- ბ) სავალუტო ბირჟები;

- გ) სავალუტო საბროკერო ფირმები;
- დ) ცენტრალური ბანკები.

**79. ბანკთაშორის კრედიტის მიწოდების ვადის განსაზღვრის შედეგად რომელი ამოცანის გადაწყვეტას შესაძლებელია?**

- ა) ბანკის მიმდინარე ლიკვიდურობის უზრუნველყოფა;
- ბ) მოგების მიღება ბანკის დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების ბაზარზე განთავსების ხარჯზე;
- გ) სხვა ბანკების საქმიანობისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- დ) ფულადი რესურსების სხვა ბაზრების მოკლევადიან ფინანსურ აქტივებზე გაცვლა.

**80. საქართველოში კომერციული ბანკების პასიურ ოპერაციებს არ მიეკუთვნება :**

- ა) კლიენტების ანგარიშების, ბანკი –კორესპონდენტების ლორო ანგარიშების ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გახსნა და მომსახურება;
- ბ) საკუთარი ფასიანი ქაღალდების გამოშვება;
- გ) მიღებული ბანკთაშორისი კრედიტები;
- დ) ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში სესხები.

**81. კომერციული ბანკისათვის ნებადართული საქმიანობა არ არის:**

- ა) პროცენტანი და უპროცენტო დეპოზიტების და სხვა დაბრუნებადი გადახდის საშუალებების მოზიდვა;
- ბ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- გ) საკუთარი და კლიენტთა სახსრებით ფულადი საბუთების ყიდვა-გაყიდვა;
- დ) სესხების გაცემა სამომხარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით.

**82. თუ კომერციული ბანკი ლიცენზიის გაუქმების თხოვნით წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს, ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებას იღებს:**

- ა) თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა;
- ბ) თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 1 თვისა;
- გ) თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 6 თვისა;
- დ) თხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

**83. ყველა გაცემული კრედიტისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხის მაქსიმალურად დასაშვები მთლიანი მოცულობა, რომელიც გამოიხატება პროცენტულად ბანკის მიერ გაცემულ ყველა კრედიტთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება გასცეს ბანკმა:**

- ა) 5 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე;
- ბ) 10 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე;
- გ) 3 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე;
- დ) 15 ყველაზე მსხვილ მსესხებელზე;

**84. რეგულაციამდელ პერიოდში ქვეყნის საკრედიტო-საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში საბაზინო საკრედიტო დაწესებულებების ფუნქციონირების პერიოდი რომელ საუკუნეებს მოიცავს ?**

- ა) მე-17 და მე-18 საუკუნეებს;
- ბ) მე-19 და მე-20 საუკუნეებს;
- გ) მე-16 და მე-17 საუკუნეებს;
- დ) არცერთ ზემოთქმულს.

**85. რა იგულისხმება მაღალი ეფექტიანობის ფულში?:**

- ა) საკრედიტო მულტიპლიკატორის სიდიდე;
- ბ) საბანკო მულტიპლიკატორის სიდიდე;
- გ) მეორადი ლიკვიდური სახსრები;
- დ) პირველადი ლიკვიდური სახსრები.

**86. 50%-იან კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული II კატეგორიის ბალანსგარეშე ვალდებულებებია:**

- ა) აქტივის გაყიდვის ვალდებულებები უკან გამოსყიდვის ვალდებულებით, როდესაც საკრედიტო რისკს იღებს ბანკი და ამ ვალდებულების შესრულებამდე დარჩენილი ვადა არ აღემატება ერთ წელს.
- ბ) ყველა 50%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა აღემატება ერთ წელს.
- გ) ყველა 100%-იანი კრედიტ-კონვერსიის ფაქტორს დაქვემდებარებული ბალანსგარეშე ვალდებულებები, რომელთა შესრულებამდე დარჩენილი ვადა აღემატება ერთ წელს.
- დ) გაცემული გარანტიები, საბანკო აქცეპტები, სესხების გაცემის ვალდებულებები.

**87. არაკუმულაციურ უვადო პრივილეგიებულ აქციაზე:**

- ა) ხორციელდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება.
- ბ) დაფარვის კონკრეტული ვადა არ არსებობს და მისი უკან გამოსყიდვა ხდება;
- გ) დაფარვის კონკრეტული ვადა არ არსებობს და მისი უკან გამოსყიდვა არ ხდება;
- დ) არ ხდება წინა წლებში ბანკის მიერ გაუნაწილებელი დივიდენდების აკუმულირება.

**88. კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დაცვის წესის თანახმად, მოზიდულ სახსრებში არ გაითვალისწინება:**

- ა) ნარჩენი ვადიანობის მიხედვით, ეროვნული ვალუტით 365 დღისა და მეტი ვადიანობის, ასევე უცხოური ვალუტით 730 დღისა და მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები;
- ბ) ბანკის მიერ გამოშვებული სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატები.
- გ) ეროვნული და სხვა რეზიდენტი ბანკებიდან მიღებული ვალდებულებები.
- დ) ყველა ზემოჩამოთვლილი.

**89. პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხებველო კაპიტალის**

- ა) არაუმეტეს 50%-ს;
- ბ) არანაკლებ 25%-ს;
- გ) არაუმეტეს 25%-ს;
- დ) არანაკლებ 50%-ს.

**90. კომერციული ბანკს შეუძლია შექმნას ან შეიძინოს შვილობილი საწარმო – საბროკერო კომპანია, რომელიც მონაწილეობს მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში, და ფლობდეს მასში წილს შეუზღუდავი ოდენობით, თუ :**

- ა) ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 10 ს;
- ბ) ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 15%-ს;
- გ) ეროვნული ბანკის ნებართვის გარეშე ეს წილი არ აღემატება მისი სააქციო კაპიტალის 5 ს;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**91. საქართველოს ეროვნული ბანკის ფუნქცია არ არის:**

- ა) განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხებველობა;
- ბ) უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება;
- გ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;
- დ) უზრუნველყოს საბაჟო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

**92. ნდობით აღჭურვილ პირს შეუძლია სრულად მოახდინოს თავისი უფლებამოსილების დელეგირება მესამე პირისადმი შესაბამისად გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე:**

- ა) 5 წლის ვადით.
- ბ) 2 წლის ვადით.
- გ) უვადოდ.
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**93. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტის მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს -**

- ა) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1%;
- ბ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ტოლია;
- გ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს 1%;
- დ) მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლუს 2%.

**94. კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:**

- ა) ოვერდრაფტი;
- ბ) საბლანკო კრედიტი;
- გ) სინდიცირებული კრედიტი;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**95. კომერციულ ბანკებს არ შეუძლიათ განახორციელონ შემდეგი ოპერაციები თავისი კლიენტების მინდობილობით:**

- ა) კერძო პირებისათვის მინდობილობით ოპერაციების შესრულება, მათ შორის, ქონების მართვა აქციების ან სხვა საფონდო ღირებულებების სახით;
- ბ) კლიენტის დავალებით რწმუნებითი ფუნქციების შესრულება;
- გ) კერძო პირებისათვის, ფირმებისათვის და სხვა ორგანიზაციებისათვის სააგენტო მომსახურების შესრულება;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**96. იპოთეკური დაკრედიტების ერთდონიანი მოდელი გულისხმობს, რომ:**

- ა) იპოთეკური კრედიტები, რომელიც მეორად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა.
- ბ) იპოთეკური კრედიტები, რომელიც პირველად ბაზარზე გაიცემა, სპეციალურად შექმნილ აგენტებზე გადაითმობა.
- გ) მისი გამცემი ბანკი დამოუკიდებლად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით;
- დ) მისი გამცემი ბანკი სხვა ბანკთან ერთად ახორციელებს იპოთეკური კრედიტების რეფინანსირებას ფასიანი ქაღალდების ხარჯზე გამოშვებული ობლიგაციების ტიპის ჩასადები ფურცლების სახით.

**97. ლიზინგური გადასახადების გადახდის დეგრესული სკალის დროს :**

- ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადასახადის სიდიდე არ იცვლება;
- ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადასახადის სიდიდე იცვლება;
- გ) გადასახადის სიდიდე დიდიდან მცირესაკენ იცვლება.
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**98. ფაქტორინგული ოპერაციის დროს ხდება გადასახადის ვადამდელი გადახდა მაშინვე მისი მიწოდების შემდეგ:**

- ა) მიწოდებული საქონლის ღირებულების 15%-მდე ოდენობით;
- ბ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 65%-მდე ოდენობით;
- გ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 75%-მდე ოდენობით;
- დ) მიწოდებული საქონლის ღირებულების 85%-მდე ოდენობით;

**99. ბანკი ვალდებულია გადამხდელი მეწარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები:**

- ა) თუკი უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 35 000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;
- ბ) თუკი უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 20 000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;
- გ) თუკი უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის თანხა აღემატება 40 000 ლარს ან ეკვივალენტს სხვა ვალუტაში;
- დ) არცერთი ზემოჩამოთვლილი.

**100. შვილობილი საწარმო არის იურიდიული პირი, რომელშიც სათავეო საწარმო ფლობს წილის:**

- ა) 20 ან 20-ზე მეტ პროცენტს;
- ბ) 40 ან 40-ზე მეტ პროცენტს;
- გ) 25 ან 25-ზე მეტ პროცენტს;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**101. კლიენტის ანგარიშის დახურვის შემთხვევაში საგადახდო დავალებები:**

- ა) რჩება შეუსრულებელი;
- ბ) უნდა განაღდდეს;
- გ) რჩება ბანკში;
- დ) უბრუნდება გადამხდელს.

**102. საგადახდო დავალება ბანკში წარდგენიდან ძალაშია მათი გამოწერიდან:**

- ა) ორი კალენდარული დღის განმავლობაში;
- ბ) შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში;
- გ) ათი კალენდარული დღის განმავლობაში;
- დ) უვადაა.

**103. საგადახდო საბუთების ბლანკების დამზადება ხდება:**

- ა) ხელნაწერის სახით;
- ბ) კომპიუტერული ტექნიკით;

- გ) საბეჭდი მანქანით;
- დ) ტიპოგრაფიული წესით.

**104. კომერციული ბანკი ვალდებულია:**

- ა) ყოველგვარი შეფერხების და საზღაურის გარეშე უზრუნველყოს ლარის ბანკნოტების გამოცვლა;
- ბ) საზღაურის საფუძველზე უზრუნველყოს ლარის ბანკნოტების გამოცვლა;
- გ) უზრუნველყოს ლარის ბანკნოტების გადაცვლა;
- დ) გადასაცვლელი ლარის ბანკნოტების შესაბამისი დადგენილი საკომისიო გადასახდელის მიღება.

**105. კლიენტის მიერ ბანკში შეტანილი ნაღდი ფულის გადათვლისას მეტ-ნაკლებობის გამოვლენის შემთხვევაში ზედმეტობა:**

- ა) არ უბრუნდება კლიენტს;
- ბ) უბრუნდება კლიენტს ან ჩაირიცხება მის ანგარიშზე;
- გ) ბანკის შემოსავალში აიღება;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**106. ბანკში დახარისხებულ ერთ პაკეტში მოთავსებული ეროვნული ვალუტის მონეტების მაქსიმალური თანხა ნომინალების მიხედვით უნდა იყოს:**

- ა) 10 თეთრი – 100 ლარი;
- ბ) 10 თეთრი – 50 ლარი;
- გ) 10 თეთრი – 10 ლარი;
- დ) 10 თეთრი – 20 ლარი.

**107. საქართველოს ეროვნულ ბანკში მიიღება ფულის ნიშნები:**

- ა) მხოლოდ ანგარიშის მქონე კომერციული ბანკის მიერ ფორმირებული ნაღდი ფულის ნიშნები;
- ბ) ფიზიკური პირის მიერ ფორმირებული ნაღდი ფულის ნიშნები;
- გ) იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფორმირებული ნაღდი ფულის ნიშნები;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**108. კომერციულ ბანკში ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობის მიღება-გაცემის სამუშაო რეჟიმს კონკრეტული ერთეულისათვის განსაზღვრავს:**

- ა) სალაროს გამგე;
- ბ) მომსახურე ოპერატორი;
- გ) საქართველოს ეროვნული ბანკი;
- დ) კომერციული ბანკის ხელმძღვანელობა.

**109. კომერციული ბანკის სალაროს კვანძი მოიცავს:**

- ა) საცავს, ფულის მიღება–გაცემის ოთახს;
- ბ) სალაროებს, ფულის მიღება–გაცემის ოთახს;
- გ) ფულის მიღება–გაცემის ოთახს, საცავს, სალაროს;
- დ) სალაროს კვანძს.

**110. ბანკნოტების ფორმირება ხდება:**

- ა) პოლიეთილენის ტომრებში;
- ბ) კონებად;
- გ) ნეკნებად და და კონებად;
- დ) ნეკნებად.

**111. კომეციულ ბანკებს უნდა ჰქონდეთ ნაღდი ფულადი ოპერაციებისათვის საჭირო:**

- ა) ბეჭდები და შტამპები;
- ბ) შტამპები და დასალუქი საშუალებები;
- გ) დასალუქი საშუალებები;
- დ) ბეჭდები, შტამპები, დასალუქი საშუალებები.

**112. აქცია არის:**

- ა) ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას ემიტენტი სააქციო საზოგადოების კაპიტალში;
- ბ) ფასიანი ქაღალდი სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის მისაღებად;
- გ) ფასიანი ქაღალდი სააქციო საზოგადოების მართვაში მონაწილეობისათვის;
- დ) ფასიანი ქაღალდი მოგების მიღებასთან დაკავშირებით.

**113. ობლიგაცია არის:**

- ა) სასესხო ფასიანი ქაღალდი დივიდენდების მიღების მიზნით;
- ბ) სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის შესაბამისად მისი ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას დაფაროს ვალი და სარგებლობის საფასური განსაზღვრულ ვადაში;
- გ) სასესხო ფასიანი ქაღალდი გამოშვებული სახელმწიფოს მიერ;
- დ) სასესხო ფასიანი ქაღალდი გამოშვებული საწარმოს მიერ.

**114. თამასუქი არის:**

- ა) ფასიანი ქაღალდი ვალდებულების გადახდასთან მიმართებაში;
- ბ) ფასიანი ქაღალდი ვალდებულების მიღებასთან მიმართებაში;
- გ) ფასიანი ქაღალდი, რომელიც წარმოადგენს წერილობით ვალდებულებას გადაიხადოს განსაზღვრული ფულადი თანხა;
- დ) ფასიანი ქაღალდი, მოგების მიღებასთან მიმართებაში.

**115. ფასიანი ქაღალდის მეორადი ბაზარი გამოიყენება:**

- ა) ფასიანი ქაღალდების ემისიის განხორციელებისათვის;
- ბ) ჩვეულებრივი აქციების პრივილიგირებულად გარდაქმნისათვის;
- გ) ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების მისაღებად;



დ) გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის საშუალებების (ლიკვიდობის) უზრუნველსაყოფად.

**116. ოფციონი არის:**

- ა) ჩვეულებრივი აქცია;
- ბ) წარმოებული ფასიანი ქაღალდი;
- გ) წერილობითი მარტივი და უპირობო ვალდებულება;
- დ) პრივილეგირებული აქცია.

**117. სერთიფიკატი არის ბანკის წერილობითი მოწმობა კლიენტის მიერ:**

- ა) ანგარიშზე ფულის შემოტანის შესახებ;
- ბ) ანგარიშზე ფულადი სახსრების არარსებობის შესახებ;
- გ) დეპოზიტზე ფულადი სახსრების განთავსების შესახებ;
- დ) დეპოზიტზე ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

**118. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რეესტრის წარმართვა არის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მონაცემების:**

- ა) შეგროვება, ფიქსაცია, დამუშავება, შენახვა, დალუქვა;
- ბ) შეგროვება, ფიქსაცია, დამუშავება, შენახვა, გაცემა;
- გ) შეგროვება, ფიქსაცია, დამუშავება, შენახვა, გაყიდვა;
- დ) შეგროვება, ფიქსაცია, დამუშავება, შენახვა, კონსერვაცია.

**119. ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის ფუნქციებია:**

- ა) ფასიანი ქაღალდების გამოშვება, განთავსება, აღრიცხვა, გაყიდვა;
- ბ) ფასიანი ქაღალდების გამოშვება, განთავსება, აღრიცხვა, მოზიდვა;
- გ) ფასიანი ქაღალდების გამოშვება, განთავსება, აღრიცხვა, წარმოება;
- დ) ფასიანი ქაღალდების გამოშვება, განთავსება, აღრიცხვა, ბალანსის შენარჩუნება.

**120. საკრედიტო რისკი არის:**

- ა) მსესხებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი;
- ბ) ბანკის მიერ ჩატარებული ოპერაციებიდან შემოსავლის მიუღებლობის ალბათობა;
- გ) ეროვნული და უცხოური ვალუტის კურსთა ცვალებადობის რისკი;
- დ) ბანკის აქტივების ლიკვიდობის დაკარგვის ალბათობა.

**121. საკრედიტო რისკის დადგენილმა ლომიტებმა უნდა მოიცვას შემდეგი:**

- ა) კლიენტის და ურთერთდაკავშირებული მხარეების რისკები;
- ბ) კლიენტის რისკი, ურთიერთდაკავშირებული მხარეების რისკი, ეკონომიკური სექტორის რისკი;
- გ) ურთიერთდაკავშირებული მხარეების და ეკონომიკური სექტორის რისკები;
- დ) კლიენტის და ეკონომიკური სექტორის რისკები.

**122. საკრედიტო რისკის შეფასებისას გამოყენებულმა პარამეტრებმა უნდა მოიცვას:**

- ა) უმოქმედო სესხები, კრედიტების კონცენტრირება მსესხებლისა და ეკონომიკური დარგების მიხედვით, გირაოს ადეკვატურობა, დაკრედიტების ზრდა;
- ბ) უმოქმედო სახაზინო და საინვესტიციო პორტფელების შემადგენლობა, რეზერვების ადეკვატურობა, მიზნობრივი დაფინანსების მიზნით გაცემული კრედიტების კონცენტრაცია;
- გ) „ა“ და „ბ“ პუნქტები ერთობლივად;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**123. საკრედიტო რისკის მონიტორინგის სისტემამ შეფასების განხორციელების მიზნით უნდა მოახდინოს:**

- ა) პრობლემურ სესხებთან მიმართებაში სწრაფი ღონისძიებების გატარება;
- ბ) პრობლემური სესხების დროული კლასიფიცირება, საკრედიტო რისკის მატერიალური ოპერაციების მონიტორინგი;
- გ) გირაოს ადეკვატურობის შეფასება, დებიტორის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- დ) ყველა ერთად.

**124. რისკების შეფასებისას შეიძლება გამოყენებული იქნას მეთოდები:**

- ა) რაოდენობრივი და მონეტარული;
- ბ) რაოდენობრივი და ფინანსური;
- გ) რაოდენობრივი და ხარისხობრივი;
- დ) რაოდენობრივი და სტატისტიკური.

**125. სესხებისა და ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ბანკის შემდეგ მახასიათებლებს უნდა ითვალისწინებდეს:**

- ა) მოცულობას, სტრუქტურას, საქმიანობას, დაკრედიტებას;
- ბ) მოცულობას, სტრუქტურას, საქმიანობას, ოპერაციებს;
- გ) მოცულობას, სტრუქტურას, საქმიანობას, დაფინანსებას;
- დ) მოცულობას, სტრუქტურას, საქმიანობას, ვალდებულებას.

**126. კომერციულმა ბანკმა, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესრულებისა, უნდა დაიცვას:**

- ა) შიდა პოლიტიკა, პროცედურები და კრედიტუნარიანობა;
- ბ) შიდა პოლიტიკა, პროცედურები და გადახდისუნარიანობა;
- გ) შიდა პოლიტიკა, პროცედურები და ფინანსურობა;
- დ) შიდა პოლიტიკა, პროცედურები და დაწესებული ლიმიტები.

**127. სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობის საკრედიტო რისკის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეორე მხარის:**

- ა) ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, გადახდისუნარიანობა;
- ბ) ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, ლიკვიდურობა;
- გ) ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, უზრუნველყოფა;
- დ) ფინანსური მდგომარეობა, რეიტინგი, ინსტრუმენტების დახასიათება, რისკის ფაქტორები.

**128. საბაზრო რისკი მოიცავს:**

- ა) საპროცენტო, საფონდო, სავალუტო, სასაქონლო პოზიციების რისკებს;
- ბ) საპროცენტო რისკს, საფონდო რისკს, სავალუტო რისკს;
- გ) სავალუტო რისკს, სასაქონლო პოზიციების რისკს;
- დ) საპროცენტო, საკრედიტო, სავალუტო რისკებს.

**129. ლიკვიდობის რისკი არის:**

- ა) ბანკის ვალდებულებების დროულად დაფარვის შეუძლებლობა;
- ბ) ბანკის რისკი გაისტუმროს ვალდებულება დათქმულ ვადაში;
- გ) ფულადი ერთეულის კურსების ცვალებადობით გამოწვეული რისკი;
- დ) ბანკის აქტივების დროული გასხვისების რისკი.

**130. საოპერაციო რისკი არის:**

- ა) სისტემებისა და გარეფაქტორების შედეგად მიღებული ზარალის რისკი;
- ბ) ადამიანური ქმედებების შედეგად მიღებული ზარალის რისკი;
- გ) არაადეკვატური შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედებების, სისტემებისა და გარეფაქტორების შედეგად ზარალის რისკი;
- დ) არაადეკვატური შიდა პროცესებისა და ადამიანური ქმედებების ზარალის რისკი.

**131. სტრატეგიული რისკი არის:**

- ა) ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვით, ბიზნეს გადაწყვეტილებებით გამოწვეული რისკები;
- ბ) ბანკის სტრატეგიის ცუდი დაგეგმვით, გარე ცვლილებაზე რეაგირების არმომხდენით გამოწვეული რისკები;
- გ) ბანკის სტრატეგიის ცუდი განხორციელებით, გარე ცვლილებებზე რეაგირების არმომხდენით გამოწვეული რისკები;
- დ) ბანკის სტრატეგიის სისტი დაგეგმვით და ცუდი განხორციელებით, სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებებით, გარე ცვლილებებზე რეაგირების არმომხდენით გამოწვეული რისკები.

**132. სავალუტო რისკი არის:**

- ა) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებით გამოწვეული ეროვნული ვალუტის გაუფასურების რისკი;
- ბ) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების გაუფასურების რისკი;
- გ) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულებების გაუფასურების რისკი.
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**133. ბანკის მიერ საოპერაციო რისკის დასადგენად გამოყენებულმა მეთოდებმა უნდა მოიცვას:**

- ა) რისკების შეფასება, კარტოგრაფია, ინდიკატორები, გადახდის უნარიანობა;
- ბ) რისკების შეფასება, კარტოგრაფია, ინდიკატორები, ლიკვიდურობა;
- გ) რისკების შეფასება, კარტოგრაფია, ინდიკატორები, კრედიტუნარიანობა;
- დ) კარტოგრაფია, ინდიკატორები, შეფასების ბარათები.

**134. სამართლებრივი რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს:**

- ა) ხარისხობრივი და ფინანსური მიდგომების კომბინაცია;
- ბ) რაოდენობრივი და მინეტარული მიდგომების კომბინაცია;
- გ) ხარისხობრივი და საკრედიტო მიდგომების კომბინაცია;
- დ) ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია.

**135. ბანკის პასიური ოპერაციები არისბანკის რესურსების ფორმირების საშუალება, რომლებსაც მიეკუთვნებიან:**

- ა) შენატანები ბანკის საწესდებო ფონდში და მიღებული მოგება;
- ბ) დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციები;
- გ) შენატანები ბანკის საწესდებო ფონდში, მიღებული მოგება, დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციები;
- დ) მიღებული მოგება, დეპოზიტური და არადეპოზიტური ოპერაციები.

**136. აქცია არის სახელობითი ემისიური ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს აძლევს უფლებას:**

- ა) სააქციო საზოგადოების მოგებიდან მიიღოს დივიდენდები;
- ბ) სააქციო საზოგადოების მართვაში მიიღოს მონაწილეობა;
- გ) სააქციო საზოგადოების ქონების ნაწილის დაუფლებაზე;
- დ) სააქციო საზოგადოების მოგებიდან დივიდენდების მიღების, ქონების ნაწილის დაუფლების და მართვაში მონაწილეობის მიღების.

**137. აქტიურ საბანკო ოპერაციებს მიეკუთვნება:**

- ა) საკრედიტო, სალაროს, სავალუტო, ძვირფას ლითონებთან და ქვებთან ოპერაციები;
- ბ) საბანკო გარანტიებისა და თავდებობების გაცემა მესამე პირის სახელით;

- გ) სახსრებისა და ქონების ნდობით მართვა, ლიზინგური, ფაქტორინგული, ფორფეტინგული ოპერაციები და სხვა.
- დ) ყველა ერთად.

**138. რისკების ხარისხთან დამოკიდებულებაში ყველა აქტიური ოპერაცია იყოფა შემდეგი სახით:**

- ა) სტანდარტულები, არასტანდარტულები, პრობლემურები, უიმედოები;
- ბ) სტანდარტულები, არასტანდარტულები, პრობლემურები, საექვოები, უიმედოები;
- გ) პრობლემურები, საექვოები, უიმედოები, არასტაბილურები;
- დ) არასტანდარტულები, უიმედოები, სტანდარტულები, საექვოები.

**139. კომერციული ბანკების პასიური ოპერაციების ფორმებია:**

- ა) საწესდებო ფონდი, მოგება;
- ბ) მოგება, საწესდებო ფონდი, დეპოზიტები;
- გ) დეპოზიტები, საწესდებო ფონდი;
- დ) არადეპოზიტური ოპერაციები.

**140. ბანკის საკუთარი კაპიტალი შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:**

- ა) დაცვით და ოპერატიულს;
- ბ) ოპერატიულს და მარეგულირებელს;
- გ) მარეგულირებელს, დაცვით და ოპერატიულს;
- დ) საკონტროლო და დაცვით.

**141. „დეპოზიტი“ წარმოქმნილია ლათინური ენიდან და ნიშნავს:**

- ა) დივიდენდის მიღების წყაროს;
- ბ) საკრედიტო რესურსს;
- გ) იურიდიული პირის დროებით თავისუფალ ფულად თანხას;
- დ) შესაძლებლად გადმოცემულ ნივთს.

**142. „მოთხოვნამდე“ დეპოზიტი არის:**

- ა) ვადიანი დეპოზიტი;
- ბ) ვადიანი კრედიტი;
- გ) უვადო დეპოზიტი;
- დ) უვადო სესხი.

**143. წარმოების „უზარალობის წერტილი“ არის:**

- ა) ცვალებადი დანახარჯებისა და მოგების შეფარდების ამსახველი მახასიათებელი;
- ბ) მუდმივი დანახარჯებისა და მოგების შეფარდების ამსახველი მახასიათებელი;
- გ) ცვალდებადი და მუდმივი დანახარჯებისა და მოგების შეფარდების მახასიათებელი;
- დ) მოგების ამსახველი მახასიათებელი.

**144. მუდმივი დანახარჯები არის:**

- ა) დანახარჯები, რომლებიც წარმოების დონეზე არ არის დამოკიდებული;
- ბ) დანახარჯები, რომლებიც წარმოების დონეზეა დამოკიდებული;
- გ) დანახარჯები, რომლებიც წარმოების მოგებაზეა დამოკიდებული;
- დ) დანახარჯები, რომლებიც ეროვნული ფულადი ერთეულის კურსზეა დამოკიდებული .

**145. ცვალებადი დანახარჯები არის:**

- ა) დანახარჯები, რომლებიც წარმოების პროცესთან ირიბ დამოკიდებულებაშია;
- ბ) დანახარჯები, რომლებიც წარმოების პროცესთან პირდაპირ დამოკიდებულებაში;
- გ) დანახარჯები, რომლებიც ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებასთან არის დამოკიდებული;
- დ) დანახარჯები, რომლებიც საკრედიტო პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

**146. ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით საწარმოები დაიყოფა:**

- ა) კლასიკური საწარმო, ჰოლდინგური საწარმო, შვილობილი საწარმო;
- ბ) მცირე საწარმო, კერძო მესაკუთრე, შვილობილი საწარმო;
- გ) კლასიკური, ჰოლდინგური, შვილობილი, მცირე და კერძო საწარმოები;
- დ) კლასიკური საწარმო, შვილობილი საწარმო, მცირე საწარმო.

**147. მსესხებლის დადებითი კრედიტუნარიანობა მისი ისეთი მდგომარეობაა, რომლის შეფასებიდან გამომდინარე ბანკი:**

- ა) კლიენტთან საკრედიტო ურთიერთობების შეჩერების გადაწყვეტილებას ღებულობას;
- ბ) კლიენტის საკრედიტო პორტფელს ვერ მართავს ;
- გ) კლიენტთან საკრედიტო ურთიერთობების დაწყების გადაწყვეტილებას ღებულობს;
- დ) არცერთი ზემოთქმული.

**148. საწარმოს ლიკვიდურობის ქვეშ გაიგება:**

- ა) ვალდებულებების ნაღდ ბანკნოტებად გარდაქმნის შესაძლებლობა;
- ბ) ვალდებულებების აღსრულების შესაძლებლობა;
- გ) ვალდებულებების მონეტებად გარდაქმნის შესაძლებლობა;
- დ) ვალდებულებების აქციებად გარდაქმნის შესაძლებლობა.

**149. დაფინანსების კოეფიციენტი არის:**

- ა) კრედიტორული დავალიანების უზრუნველყოფა საკუთარი კაპიტალით;
- ბ) კრედიტორული დავალიანების უზრუნველყოფა ფასიანი ქაღალდებით;
- გ) კრედიტორული დავალიანების უზრუნველყოფა გირაოთი;
- დ) კრედიტორული დავალიანების უზრუნველყოფა სესხებით.

150. საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი არის საწარმოს მიერსაკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე:

- ა) მიღებული ინვესტიციების მახასიათებელი;
- ბ) მიღებული მოგების მახასიათებელი;
- გ) მიღებული ხარჯების მახასიათებელი;
- დ) მიღებული ზარალის მახასიათებელი.

#### ლიტერატურა:

1. ცაავა გ.; ხანთაძე გ. – საბანკო საქმე, (სახელმძღვანელო).- თბილისი.; გამომც. „დანი“ 2014.-600 გვ.
2. ცაავა გ.–საბანკო საქმე.- თბილისი.; გამომც. "აფხ. მეცნ. აკად." 2005.-567 გვ.
3. ხანთაძე გ.; ცაავა გ.–საბანკო ოპერაციები (სახელმძღვანელო).- თბილისი.; გამომც. "წიგნის სახელოსნო".; 2012.- 400 გვ.
4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“
5. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“
6. კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი; მინიმალური რეზერვების გაანგარიშებისა და დაცვის პერიოდების კალენდარი
7. კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესი
8. [www. nbg.ge](http://www.nbg.ge)